



დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N35

2025 წლის 24 დეკემბერი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N 31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართელობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე 2 პუნქტის, 24-ე მუხლის „და“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის N31 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 29/11/2024, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.156.016538) და დადგენილების 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-13, მე-14 მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

თავი I

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

#	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
I	<b>I. შემოსავლები</b>	23 956,2	26 257,5	19 623,9	6 633,6	31 957,7	24 542,2	7 415,5
1.1	გადახაზადები	14 443,7	17 197,6	17 197,6	0,0	21 465,2	21 465,2	0,0
1.3	გრანტები	6 256,7	6 647,9	14,3	6 633,6	7 415,5	0,0	7 415,5
1.4	სხვა შემოსავლები	3 255,8	2 412,0	2 412,0	0,0	3 077,0	3 077,0	0,0
II	<b>II. ხარჯები</b>	14 864,8	17 684,8	16 498,8	1 186,1	20 717,9	19 484,8	1 233,1
2.1	შრომის ანაზღაურება	3 030,0	3 508,4	3 489,7	18,7	3 845,2	3 821,7	23,5
2.2	საქონელი და მომსახურება	3 501,5	4 195,2	3 208,0	987,2	4 579,6	3 688,3	891,3



თავი II

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები.

მუხლი 3. დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვოს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 31 957,7 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	23 956,2	26 257,5	19 623,9	6 633,6	31 957,7	24 542,2	7 415,5
გადასახადები	14 443,7	17 197,6	17 197,6	0,0	21 465,2	21 465,2	0,0
გრანტები	6 256,7	6 647,9	14,3	6 633,6	7 415,5	0,0	7 415,5
სხვა შემოსავლები	3 255,8	2 412,0	2 412,0	0,0	3 077,0	3 077,0	0,0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 21 465,2 ათასი ლარით:

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
			ჯამი	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	ჯამი	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
1.1	გადასახადები	14 443,7	17 197,6	17 197,6	0,0	21 465,2	21 465,2	0,0
1.1.3	გადასახადები ქონებაზე	2 013,8	1 600,0	1 600,0	0,0	2 200,0	2 200,0	0,0
1.1.3.1	გადასახადი უძრავ ქონებაზე	2 013,8	1 600,0	1 600,0	0,0	2 200,0	2 200,0	0,0
1.1.3.1.1	გადასახადი ქონებაზე	2 013,8	1 600,0	1 600,0	0,0	2 200,0	2 200,0	0,0
1.1.3.1.1.1	საქ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწის)	1 375,2	1 050,0	1 050,0	0,0	1 550,0	1 550,0	0,0
1.1.3.1.1.3	ფიზიკურ პირთა ქონებიდან (გარდა მიწისა)	7,1	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
1.1.3.1.1.4	სასოფლო-სამეურნეო დანიშ მიწაზე ქონ გადასახ	491,6	500,0	500,0	0,0	500,0	500,0	0,0
1.1.3.1.1.4.1	ფიზიკურ პირებიდან	391,6	385,0	385,0	0,0	380,0	380,0	0,0
1.1.3.1.1.4.2	იურიდიულ პირებიდან	100,0	115,0	115,0	0,0	120,0	120,0	0,0
1.1.3.1.1.5	არასასოფლო-სამეურნეო დანიშ მიწაზე ქონ გადასახ	139,9	50,0	50,0	0,0	150,0	150,0	0,0

1.1.3.1.1.5.1	ფიზიკურ პირებიდან	100,0	15,0	15,0	0,0	45,0	45,0	0,0
1.1.3.1.1.5.2	იურიდიულ პირებიდან	39,9	35,0	35,0	0,0	105,0	105,0	0,0
1.1.4	გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	12 429,9	15 597,6	15 597,6	0,0	19 265,2	19 265,2	0,0
1.1.4.1	საყოველთაო გადასახადები საქ და მომსახ	12 429,9	15 597,6	15 597,6	0,0	19 265,2	19 265,2	0,0
1.1.4.1.1	დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)	12 429,9	15 597,6	15 597,6	0,0	19 265,2	19 265,2	0,0

**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები **7 415,5** ათასი ლარის ოდენობით.

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
1.3	<b>გრანტები</b>	<b>6 256,7</b>	<b>6 647,9</b>	<b>7 415,5</b>
1.3.1	საერთაშორის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი	0,0	14,3	0,0
1.3.2	უცხო სახელმწიფოთა მთავრობიდან მიღებული გრანტი	247,0	0,0	0,0
1.3.3	სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	6 009,7	6 633,6	7 415,5
1.3.3.1	მიმდინარე	953,0	1 024,1	1 405,0
1.3.3.1.1	გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	953,0	1 024,1	1 405,0
1.3.3.1.1.1.2	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	953,0	1 024,1	1 405,0
1.3.3.2	კაპიტალური	5 056,7	5 609,5	6 010,5
1.3.3.2.1.1.2	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5 056,7	5 609,5	6 010,5
	საქ.რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	4 370,7	4 358,0	4 929,0
	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	686,0	686,0	686,0
	სახელმწიფო პროგრამა განახლებული რეგიონები		0,0	
	მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0,0	215,5	0,0
	„საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ“	0,0	350,0	100,0
	"მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის" ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ განკარგულება	0,0	0,0	220,5
	"სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე"	0,0	0,0	75,0

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები **3 077,0** ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
------------	-----------------	-----------------

		2023 წლის ფაქტი	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
1	სხვა შემოსავლები	3 255,8	2 412,0	2 412,0	0,0	3 077,0	3 077,0	0,0
1.4.1	შემოსავლები საკუთრებიდან	2 270,1	2 150,0	2 150,0	0,0	2 615,0	2 615,0	0,0
1.4.1.1	პროცენტები	368,7	300,0	300,0	0,0	275,0	275,0	0,0
1.4.1.5	რენტა	1 901,4	1 850,0	1 850,0	0,0	2 340,0	2 340,0	0,0
	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა	1 376,0	1 500,0	1 500,0	0,0	2 000,0	2 000,0	0,0
	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	525,4	350,0	350,0	0,0	340,0	340,0	0,0
1.4.2	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	45,4	62,0	62,0	0,0	110,0	110,0	0,0
1.4.2.2	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	25,1	42,0	42,0	0,0	70,0	70,0	0,0
1.4.2.2.3	სანებართვო მოსაკრებელი	10,0	10,0	10,0	0,0	15,0	15,0	0,0
1.4.2.2.12	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1,4	2,0	2,0	0,0	0,0	0,0	0,0
1.4.2.2.14	ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	13,7	30,0	30,0	0,0	55,0	55,0	0,0
1.4.2.2.99	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
1.4.2.3	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	20,3	20,0	20,0	0,0	40,0	40,0	0,0
1.4.2.3.1	შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
1.4.2.3.2	შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	20,3	20,0	20,0	0,0	40,0	40,0	0,0
1.4.3	სანქციები, ჯარიმები და საურავები	269,3	150,0	150,0	0,0	272,0	272,0	0,0
1.4.4	ტრანსფერები რომლებიც არ არის კლასიფიცირებული	671,0	50,0	50,0	0,0	80,0	80,0	0,0

### თავი III

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და ფუნქციონალური კლასიფიკაცია.

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 20 717,9 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
<b>ხარჯები</b>	<b>14 864,8</b>	<b>17 684,8</b>	<b>16 498,8</b>	<b>1 186,1</b>	<b>20 717,9</b>	<b>19 484,8</b>	<b>1 233,1</b>
შრომის ანაზღაურება	3 030,0	3 508,4	3 489,7	18,7	3 845,2	3 821,7	23,5
საქონელი და მომსახურება	3 501,5	4 195,2	3 208,0	987,2	4 579,6	3 688,3	891,3
პროცენტი	20,3	20,0	20,0	0,0	6,0	6,0	0,0
სუბსიდიები	4 486,2	6 506,5	6 327,3	179,2	7 752,1	7 539,6	212,5
გრანტები	1 885,0	1 147,0	1 147,0	0,0	650,0	650,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 227,4	1 123,6	1 122,6	1,0	2 251,5	2 145,7	105,8
სხვა ხარჯები	714,4	1 184,1	1 184,1	0,0	1 633,5	1 633,5	0,0

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 14 886,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

1. განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 15 533,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2023 ფაქტი	2024 გეგმა	2025 გეგმა
<b>01 00</b>	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>286,5</b>	<b>204,6</b>	<b>399,0</b>
<b>01 01</b>	<b>საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა</b>	<b>286,5</b>	<b>204,6</b>	<b>117,0</b>
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	0,0	0,0	282,0
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>9 670,8</b>	<b>12 623,2</b>	<b>14 382,8</b>
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	3 010,1	6 420,2	8 252,5
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 503,3	338,9	292,0
02 03	გარე განათება	145,3	36,5	149,2
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	2 167,3	2 167,7	1 755,9
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 104,0	1 380,4	1 779,7
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	1 303,3	1 759,6	1 594,2
02 07	საპროექტო დოკუმენტაციისა და საქსპერტო მომსახურების შესყიდვა	437,5	520,0	559,1
<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>129,8</b>	<b>895,2</b>	<b>345,9</b>
03 01	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	70,5	40,0	36,7
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0,0	0,0	0,0
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	59,3	855,2	309,2
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	0,0	0,0	0,0
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>13,0</b>	<b>40,2</b>	<b>322,6</b>
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	13,0	31,0	10,0
04 02	საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	0,0	9,2	0,0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	0,0	0,0	312,6
<b>05 00</b>	<b>კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი</b>	<b>19,6</b>	<b>24,0</b>	<b>72,6</b>
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	0,0	0,0	23,1
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	19,6	24,0	49,5

05 03	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივ საქმიანობა	0,0	0,0	0,0
06 00	სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები	0,0	4,8	10,2
	სულ ჯამი	10 119,7	13 792,0	15 533,0

2. განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 647,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

	დასახელება	2023 ფაქტი	2024 გეგმა	2025 გეგმა
31	არაფინანსური აქტივების კლება	126,3	200,0	647,0
31.1	ძირითადი აქტივები	22,3	0,0	356,0
31.4	არაწარმოებული აქტივები	104,0	200,0	291,0
31.4.1	მიწა	104,0	200,0	291,0

### მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

კოდი	დასახელება	2023 ფაქტი	2024 გეგმა	2025 გეგმა
701	<b>I. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	<b>4 921,6</b>	<b>5 945,3</b>	<b>6 609,7</b>
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 707,2	5 869,7	6 548,1
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 707,2	5 869,7	6 548,1
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	75,9	75,6	61,6
702	<b>II. თავდაცვა</b>	<b>138,5</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>
7021	სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	138,5	0,0	0,0
704	<b>IV. ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>3 364,5</b>	<b>6 430,2</b>	<b>8 325,5</b>
70421	სოფლის მეურნეობა	0,0	0,0	0,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3 364,5	6 430,2	8 325,5
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	0,0	0,0	0,0
705	<b>V. გარემოს დაცვა</b>	<b>1 554,0</b>	<b>3 046,2</b>	<b>2 705,1</b>
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1 494,8	2 161,0	2 395,9
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0,0	0,0	0,0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	59,2	885,2	309,2
706	<b>VI. საბინაო კომუნალური მეურნეობა</b>	<b>9 439,8</b>	<b>8 797,4</b>	<b>8 737,1</b>
7061	ბინადმშენებლობა	2 432,2	2 696,7	2 751,7
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	0,0	0,0
7063	წყლის სისტემების განვითარება	3 230,4	1 338,9	792,1
7064	გარე განათება	683,4	636,5	764,2
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო - კომუნალურ სფეროში	3 093,8	4 125,4	4 429,1
707	<b>VII. ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>111,7</b>	<b>179,2</b>	<b>191,7</b>
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	111,7	179,2	191,7
708	<b>VIII. დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>2 008,8</b>	<b>2 881,0</b>	<b>3 408,1</b>
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	456,8	720,2	956,6
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 452,0	1 757,8	2 015,2
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	100,0	200,0	200,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0,0	203,0	236,3
709	<b>IX. განათლება</b>	<b>2 017,7</b>	<b>2 646,5</b>	<b>3 097,1</b>
7091	სკოლამდელი განათლება	1 188,4	1 631,6	1 819,6
7096	საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება	130,3	195,0	225,3
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	699,0	819,9	1 052,2
710	<b>X. სოციალური დაცვა</b>	<b>1 622,0</b>	<b>1 606,6</b>	<b>3 232,2</b>
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	475,4	574,4	910,2
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0,3	1,0	1,5

7107	სოციალური გაუცხოვების საკითხები რომელიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	153,0	227,0	292,8
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	993,3	804,2	2 027,8
	<b>სულ</b>	<b>25 040,1</b>	<b>31 532,4</b>	<b>36 306,5</b>

**თავი IV**

**დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება**

**მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო**

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -3 646,2 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 11 239,8

დასახელება	2023 ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი
III. საოპერაციო სალდო	9 091,3	8 572,7	3 125,2	5 447,5	11 239,8	5 057,4	6 182,4
V. მთლიანი სალდო	-902,1	-5 019,3	-3 474,1	-1 545,2	-3 646,2	-2 067,2	-1 579,0

**თავი V**

**დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2024-2027 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები**

**მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024-2028 წლების პრიორიტეტები და პროგრამები/ქვეპროგრამები.**

განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები შემდეგი რედაქციით:

- ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00) .

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2023 წლის განმავლობაშიც გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი კორპუსების სახურავების და ფასადების რეაბილიტაცია, არსებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, ასევე საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია. ზემო აღნიშნულის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მისი ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	17 062,7	15 955,1	17 713,3	21 531,7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	8 325,5	6 891,1	11 500,3	15 953,6
02 01 01	გზების მიმდინარე მოვლა-შენახვა	5,0	0,0	0,0	0,0
02 01 02	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია	8 252,5	6 891,1	11 500,3	15 953,6
02 02	წყლის სისტემების განვითარება	792,1	2 006,2	1 153,5	0,0
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია (მოვლა-შენახვა)	0,0	0,0	0,0	0,0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია	792,1	2 006,2	1 153,5	0,0
02 03	გარე განათება	764,2	714,9	680,0	680,0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	0,0	0,0	0,0	0,0
02 03 02	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი	615,0	600,0	650,0	650,0
02 03 03	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	149,2	114,9	30,0	30,0
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	2 751,7	3 443,0	2 615,0	2 615,0
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია	1 680,9	3 143,0	2 315,0	2 315,0
02 04 02	ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია (ბინათმშენებლობა)	1 070,8	250,0	250,0	250,0
02 04 03	ბინათმესაკუთრებთანაა მონაწილეობა	0,0	50,0	50,0	50,0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 779,7	1 065,1	0	747,1
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	1 779,7	1 065,1	0	747,1
02 05 02	შადრევან-აუზების ექსპლუატაცია, რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	0,0
02 05 03	სასაფლაოების მოწყობა მოვლა - პატრონობა, სარიტუალო ღონისძიებები	0,0	0,0	0,0	0,0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები	2 040,1	1 284,8	1 214,5	986,0
02 07	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	609,3	550,0	550,0	550,0

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	საგზაო ინფრასტრუქტურა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01			8 325,5
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
	პროგრამის აღწერა	გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ქუჩებისა და გზების განტვირთვას სატრანსპორტო ნაკადისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას. მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზების და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითი ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქაღაჩის ქუჩების, სოფლის მისასვლელი და შიდა	

	გზების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას. პროგრამა მოიცავს გზების (ორმული) და ფრაგმენტული შეკეთებას, ქვიშა - ხრეშოვანი მასალით მოწყობას, ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალურ შეკეთებას, გზებზე ასფალტ/ბეტონის დაზიანებულ მონაკვეთებზე ზნარების დამუშავებას და ა.შ.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება საავტომობილო გზებზე მოსახლეობის შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება, შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა.

ა.ა) გზების მიმდინარე მოვლა შენახვა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გზების მიმდინარე მოვლა-შენახვა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 01 01			5,0
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული გზების ხარისხიანი შენარჩუნება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის გზის დაზიანებული საფარის ორმული შეკეთება, ზნარების ამოვსება ა/ზ ნარევით, მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებლობიდან გამომდინარე სიჩქარის შემზღვევით ბარიერების და საგზაო ნიშნების მოწყობა.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გზის საფარის მდგომარეობის შენარჩუნება	

ა.ბ) გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია

კოდი	პროგრამის დასახელება	გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 01 02			8 252,5
	ქვეპროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) კაპიტალურ შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. ქვეპროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების პროექტირებასა და დაფინანსებული სამუშაოების შევსებას, მუნიციპალიტეტის მოასფალტებული გზების დაახლოებით 20% აკმაყოფილებს საგზაო სტანდარტებს. 2022 წლისთვის იგეგმება ისეთი საგზაო სამუშაოები რომელიც დააკმაყოფილებს საგზაო სტანდარტებს, გზებს ექნება სანიაღვრე არხები რაც ხელს შეუწყობს წყლის გადინებას და ააცილებს მოსახლეობას ნალექით წამოქმნილი ნიაღვრისგან ეზოების დატბორვას. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება გათვალისწინებული იქნება პროექტების შესაბამისად სულ 260 000 ლარი, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ქ.დმანისში ჭავჭავაძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის -10396 ლარი.</li> <li>ქ.დმანისში წმ.ნინოს ქუჩისა და 9 აპრილის ქუჩის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე 143053 ლარი.</li> <li>ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზიდან სოფელ მაშვერაში მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე -56907 ლარი.</li> <li>ქ.დმანისში ვახტანგ გორგასლის ქუჩისა და სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე 32667 ლარი</li> <li>სოფელ ვაკის შიდა გზის რეაბილიტაციაზე -16977 ლარი</li> </ul>	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა და მოწყობის რეგულირება მიმოსვლა.	

ბ) წყლის სისტემების განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	წყლის სისტემების განვითარება	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 02			792,1
	პროგრამის აღწერა	<p>დმანისის მუნიციპალიტეტში წყალი 24 საათიანი გრაფიკით მიეწოდება მოსახლეობის დაახლოებით 40%. პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და საჭიროების შემთხვევაში ახლის მოწყობას, მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რაც შემთხვევაში პროგრამა ასევე მოიცავს სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაციას. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ დმანისში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლუატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიანს, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისგან: სასმელი წყლის მოვლა-შენახვის ქვეპროგრამა და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა.</p> <p>ექსპლუატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები და „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ შპს, რომელიც ემსახურება ქალაქ დმანისს და 12 სოფელს, ხოლო დანარჩენ სოფლებს მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია. რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.</p>	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის გაზრდა და უწყვეტ რეჟიმში მიწოდების უზრუნველყოფა.	

ბ.ა) წყლის სისტემების ექსპლუატაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	წყლის სისტემების ექსპლუატაცია (მოვლა-შენახვა)	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 02 01			0,0
	პროგრამის აღწერა	<p>ქალაქ დმანისსა და 5 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ 12 სოფელს ემსახურება შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომელიც ახორციელებს სასმელი წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდას, სასმელი წყლის რეზერვუარების გაწმენდასა და სპეციალური ხსნარით დაქლორვას, ასევე დაზიანებული ხაზების აღდგენას.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დანარჩენ 10 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლების ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში წყლის სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე მოაგარაკებისა და ტურისტებისათვის უწყვეტ რეჟიმში სასმელი წყლით მომარაგებას. აღნიშნულ წყლის სისტემებს, მათ შორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ ჭაბურღილებს ემსახურება ააიპ „დმანისის სერვის ჯგუფი“ რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დაზიანებული წყლის სისტემების აღდგენა და მოვლა- შენახვა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა, სასმელი წყლის ბასეინების გაწმენდა-დაქლორვა.</li> </ul> <p>ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები, რომელიც გაიცემა ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით.</p>	
	ქვეპროგრამის მიზანი	ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, წყლის სისტემების გაუმართაობის დროული აღმოფხვრა და უწყვეტ რეჟიმში ექსპლუატაციის უზრუნველყოფა.	

ბ.ბ) სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	წყლის სისტემების მშენებლობა/რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 02			792,1
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში სოფლების წყალმომარაგების და წყლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით მოხდება წყალსადენის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია. საჭიროებისამებრ ძველი, ამორტიზირებული სისტემების აღდგენა და ახლის მშენებლობა. დმანისის მუნიციპალიტეტის ქ.დმანისში და 19 სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის და სათავე ნაგებობების მშენებლობისათვის 15%-იანი თანადაფინანსების სახით გამოყოფილი 1000,0 ათასი ლარი.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მდგრადი სასმელი წყლის სისტემის შექმნა და შეუფერხებელი მიწოდება	

გ) გარე განათება

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათება	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 03			764,2
	პროგრამის აღწერა	დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართულ გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო პროექტები. დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქალაქ დმანისში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტებში). გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 70%. გარე განათების ქსელი მოიცავს 3441 ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ზომს, 3441-ზე მეტ სანათ წერტილს, 30514 გრძივ მეტრზე სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 120,0 ათას ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯიის ანაზღაურებას. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურის ხასიათის, ასევე მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაციას ( მათ შორის მოხმარებული ელექტროენერჯიის ხარჯის ანაზღაურებას). პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან, ესენია: გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია,კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში. ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლუატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში- მრავალწლიანი. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან და კაპიტალური დანახარჯებიდან. გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება.	

გ.ა) გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (მოვლა-შენახვა)	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 03 01			0,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა) იპ დმანისის სერვის ჯგუფი
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 9550 სანატი წერტილის გარე განთავსების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განთავსების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 7 სამტატო ერთეულის ხელფასები.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გარე და დეკორატიული განათების სისტემაში პერიოდულად შექმნილი შეფერხების დროული აღმოფხვრა განათების სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის.

გ.ბ) გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02.03.02			615,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება, სანათების რეაბილიტაციის და კონტროლის ხარჯზე ერთი სანათის მიერ დახარჯული კილოვატ/სანათი ელექტროენერჯის შემცირება, რაც შესაბამისად გამოიწვევს ხარჯის შემცირებას.		

გ.გ) კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02.03.03			149,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება/ გაუმჯობესების ღონისძიებებს, როგორც არის გარე განათების სისტემების მოწყობა, ახალი სანატი წერტილების დამატება, გარე განათების ახალი თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობა მუნიციპალიტეტის უბნებში და სხვა. ხანგრძლივობის მიხედვით, ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი. პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი (ძირითადად სოფლის პროგრამა).		
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი განათების სისტემის შექმნა		

დ) ბინათმშენებლობა

კოდი	პროგრამის დასახელება	აგარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02.04			2 751,7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		

პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას, ხოლო ქალაქ დმანისში არსებული მრავალბინიანი კორპუსების სახურავების და ფასადების რეაბილიტაციას; ასევე გათვალისწინებული იქნება ავარიული ობიექტების და შენობის აღდგენა-რეაბილიტაცია, რითაც თავიდან ავიცილებთ მობინადრეთა უსაფრთხოების ამაღლებას. პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს, აღნიშნული სახლების 50%-ის ფასადები საჭიროებს რემონტს. სოფლებში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავები კარგ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს რეაბილიტაციას.
პროგრამის მიზანი	მრავალბინიანი სახლების მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა

დ.ა) ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია დარეაბილიტაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	2025წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 04 01			1 680,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის მიზანი		მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის კეთილმოწყობა	
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია, სახურავების შეცვლა/შეკეთება, ფასადის რეაბილიტაცია.</p> <p>ადგილობრივი სახსრებით განხორციელდება 2025 წელს დაწყებული შემდეგი პროექტების დასრულება:- ქ.დმანისში 9 აპრილის ქ.N167 -ში მდებარე სერვის ჯგუფის შენობის რეაბილიტაციის - 167937 ლარი.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სოფელ ირგანჩაიში სარიტუალო დარბაზის, სოფლის ამბულატორიის და ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციაზე -100000 ლარი.</li> <li>- სოფელ განთიადში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციაზე 266547 ლარი.</li> </ul> <p>ხოლო არსებული რესურსების ფარგლებში განხორციელდება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>-ქ. დმანისში ააიპ დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის რეაბილიტაციაზე 108 000 ლარი.</li> <li>-ქ.დმანისში 9 აპრილის ქ.N34-ში მდებარე ბიბლიოთეკის შენობის სრული რეაბილიტაციაზე 183513 ლარი.</li> <li>-ქ.დმანისში წმ.ნინოს ქ.N56-შიარსებული სპორტული დარბაზის შენობის სრული რეაბილიტაცია - 51903 ლარი.</li> <li>-სოფელ გოდაგდაგში სარიტუალო დარბაზის მშენებლობა 42700 ლარი.</li> <li>- ქ. დმანისში გორგასლის ქ.N17-ში მდებარე შენობის სახურავის რეაბილიტაცია-168000 ლარი.</li> </ul> <p>ქ.დმანისში დასახლებაში არსებულ სახლების სახურავების რეაბილიტაციაზე 300 000 ლარი და ბინათმესაკუთრეთა კორპუსების რეაბილიტაციაზე 50 000 ლარი.</p>	

ე) კეთილმოწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2025წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02 05			1 779,7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	

<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნის მიზნით. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის ადგილზე, საფეხმავლო გზებზე დაზიანებული ბორდიურების და ფილების ამოცლა, ქალაქში ხიდებზე მოაჯირების და ბორდიურების შეღებვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწესრიგება პროგრამით ფინანსდება ქვეპროგრამა სკვერები და მინისპორტული მოედნების მოწყობა. პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით .</p>
<p>პროგრამის მიზანი დამოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების დაგართობის ადგილების შექმნა. შედეგად კეთილმოწყობილია მუნიციპალიტეტი დამოსახლეობას აქვს დასვენების და გართობის ზონა.</p>

ე.ა) საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა- რეაბილიტაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
02.05.01			1 779,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას კერძოდ მინი სტადიონების, სკვერების და დასასვენებელი პარკების თანამედროვე სტილის ატრაქციონებით უზრუნველყოფას. მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებობს 18 მინი-სტადიონი, აქედან რეაბილიტირებულია 8 მინი-სტადიონი. ასევე 8 სკვერი (სოფელ მაშავერას, სოფელ დიდი დმანისი-ვარდისუბნის, სოფელ განთიადის, სოფელ ჯავახის, სოფელ გომარეთის და ქალაქის 3 სკვერი).</p> <p>საანგარიშო წელს განხორციელდება 982500 ლარის, შემდეგი პროექტების რეაბილიტაცია :</p> <p>ამიშლოში მინი სტადიონის და სკვერის მოწყობაზე -523502 ლარი.</p> <p>-სოფელ ზემო ოროზმანში მინი სტადიონის მიმდებარედ სკვერის მოწყობაზე - 166024 ლარი.</p> <p>-სოფელ ბაზაქლოში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოებზე -251959 ლარი</p> <p>-ქ.დმანისში პოლიციასთან საპარკინგე სივრცის კეთილმოწყობაზე -41014 ლარი.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი	მოსახლეობის დასვენებისა და ჯანსაღი სხოვერებისათვის საჭირო გარემოს შექმნა		

ვ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

კოდი	პროგრამის დასახელება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02.06			2 040,1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის, მერიისა და მერის წარმომადგენლების ჩართულობით იგეგმება და ხორციელდება სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრები, შემდგომ მათი მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებული პრიორიტეტების გათვალისწინებით ხორციელდება საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და იგეგმება ინფრასტრუქტურული სამუშაოები.</p>		
პროგრამის მიზანი	სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესება		

ზ) საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და საექსპერტო მომსახურება.

კოდი	პროგრამის დასახელება	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 07			609,3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში განსაზღვრული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.</p>		
პროგრამის მიზანი	ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა		

## 2. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 705,1	2 190,6	2 220,6	2 220,6
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2 395,9	2 130,6	2 130,6	2 130,6
03 01 01	ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი	2 395,9	2 130,6	2 130,6	2 130,6
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0,0	0,0	0,0	0,0
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	309,2	30,0	60,0	60,0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	0,0	30,0	30,0	30,0

### ა) დასუფთავება და გარემოს დაცვა

კოდი	პროგრამის დასახელება	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
------	----------------------	------------------------------	------------------------------------

03 01		2 395,9
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი	
პროგრამის აღწერა	<p>დმანისი მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი წაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავში მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ-დმანისის სერვის ჯგუფი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალაქში და სოფლებში. რომლის გატანაც ხდება ქალაქ ბოლნისში არსებულ სპეციალურ ნაგავსაყრელზე.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 650 ერთეულს, მათ შორის 172 განთავსებულია ქალაქში, ხოლო დანარჩენი სოფლებში-478. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 34 მ/კუბ ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძობლად იზრდება გატანილი ნარჩენების მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 78000 მ2 ქუჩებისა და 24180 მ2 სკვერების დასუფთავება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არსებული პარკების და სკვერების მოვლა - პატრონობა, კერძოდ არსებული მწვანე ნარგავების მოვლის და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა აღნიშნულ ღონისძიებებს ემსახურება 3 თანამშრომელი.</p> <p>ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი მომსახურებას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობას 3441 სანათი წერტილის დაზიანების შემთხვევაში გამოცვლას, ამორტიზებული ბოძების შეკეთებას ახლით ჩანაცვლებას, აღნიშნულ ღონისძიებებს ემსახურება 3 თანამშრომელი.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების უფასო მოხვნა ერთ ჰექტარამდე იმ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000 -ს. ასევე მომსახურებას გაუწევს სასმელი წყლის სისტემების მოვლა-შენახვას დაზიანებული ხაზების დროულ აღდგენას და ხარისხიანი წყლის მიწოდება მოსახლეობისათვის.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის ხელფასებს, სულ სამსახურში დასაქმებულია 75 თანამშრომელი</p>	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში სუფთა და ჯანსაღი გარემოს პირობების არსებობა	

ა.ა) დასუფთავება და ნარჩენების გატანა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
03 01 01			2 395,9
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი	

ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა და ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ დმანისიდან და მუნიციპალიტეტის 43 სოფლიდან. შეგროვებული ნარჩენები გადის ქალაქ ზოლნისის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებული კონტეინერების რაოდენობა შეადგენს 650 ერთეულს, მათ შორის 172 განთავსებულია ქალაქში და 478 მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 34 მ/კუბ ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 78 000 მ<sup>2</sup> ქუჩებისა და 24 180მ<sup>2</sup> სკვერების დასუფთავება. პროგრამიდან ფინანსდება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება. პროგრამის ფარგლებში ქ.დმანისში, მიმდებარე სოფლებში ხორციელდება ქუჩებისა და ტროტუარების დასუფთავება, მერიის საკუთრებაში ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება.სადაც დასაქმებულია 75 თანამშრომელი</p>
ქვეპროგრამის მიზანი	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალიტეტის სერვისის გამართული ფუნქციონირება რის შედეგად მიიღწევა ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება.</p>

ბ) მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა

კოდი	პროგრამის დასახელება	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 02			0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი	
პროგრამის აღწერა		<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა (რაოდენობა) და სკვერების( რაოდენობა) მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ დმანისის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 2 საშტატო ერთეულის ხელფასის დაფინანსება.</p>	
პროგრამის მიზანი		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოსახლეობისთვის სასიამოვნო, ჯანსაღი გარემოს შექმნა.	

გ) კაპ. დაბანდებები დასუფთავების სფეროში

კოდი	პროგრამის დასახელება	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	2025 წლის დაფინანსება ( ათას ლარში)
03 03			309,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	

პროგრამის აღწერა	დასუფთავება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. შეძენილი ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის ურნები ვერ აკმაყოფილებს სრულად იმ მოთხოვნებს რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია. აქედან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მყარი ნარჩენების გატანისათვის საჭირო ინვენტარის, ნაგავმზიდი მანქანების და ნაგვის კონტეინერების შეძენა, რათა ნელნელა სრულად მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ათვისება. კერძოდ 2025 წელს გათვალისწინებულია ერთი ცალი აშე კალათის და სატვირთო ავტომანქანის დარჩენილი თანხების განაღდება-107470 ლარის ოდენობით, ასევე დასაფინანსებელია ორი ერთეული ნაგვის მანქანების დარჩენილი თანხა 378590 ლარის ოდენობით დაერთი ცალი ავტობუსის თანხა 103050 ლარი.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დმანისის მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ხელშეწყობა

დ) უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები

კოდი	პროგრამის დასახელება	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
03 04			0,0
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იბ დმანისის სერვის ჯგუფი	
	პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა, რომელსაც უზრუნველყოფს ტენდერში გამარჯვებული კომპანია. მიუსაფარი შინაური ცხოველის დაჭერა, დროებით თავშესაფარში განთავსება შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით; მიუსაფარ შინაურ ცხოველზე საიდენტიფიკაციო საშუალების განთავსება მიკროჩიპირებით, ან ტატუირებით, ან საჭდით („ბირკით“); საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება: ექიმ-ვეტერინარის ან/და ინოლოგის/ვეტერინოლოგის მიერ ცხოველის ვიზუალური დათვალიერება-დაკვირვება, ცხოველის ბიომასალის (სისხლის, შარდის, ბეჭვის და სხვა) ლაბორატორიული კვლევა, მკურნალობა (დეჰელმინტიზაცია, ვაქცინაცია (მათ შორის „კომპლექსური“, „ანტირაბიული“) და სხვა), ოპერაციების (სტერილიზაცია, კასტრაცია, ყურის კუპირება და სხვა) ჩატარება, ცხოველის ევთანაზია; საჭიროების შემთხვევაში, დეზინფექციის, დეზინსექციის, დესაკარიზაციის და დერატიზაციის ღონისძიებათა განხორციელება; ევთანაზირებული ან დაცემული ცხოველის ლემის გადატანა შესაბამის ბიოთერმულ ცხოველთა სამარხში (ბეკარის ორმოში), ცხოველის ლემის დამარხვისთვის გამოყოფილ სპეციალურ ტერიტორიაზე ან კრემატორიუმში; მიუსაფარი შინაური ცხოველის გაჩუქება, მიკედლება, დაინტერესებული პირისთვის დაბრუნება, საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი მოვლა-პატრონობის პირობების კონტროლი;</p> <p>ზემოთ ჩამოთვლილი ვეტერინარული და სხვა ღონისძიებების გატარების შემდგომ, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ცხოველის (რომელიც არ წარმოადგენს საფრთხეს) ზუნებრივ არეალში ან პირვანდელ საცხოვრებელ ტერიტორიაზე დაბრუნება; საჭიროების შემთხვევაში, სურსათის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიულ ორგანოსთვის მიმართავა მიუსაფარი შინაური ცხოველების ვაქცინაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად;</p>	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა, მიუსაფარი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობა ვეტერინარულ ღონისძიებების გატარების გზით	

3. განათლება (04 00)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს რომლის ფარგლებშიც ყოველ წლებში ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დასახელება		2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
04 00	განათლება	3 097,1	1 822,6	1 822,6	1 822,6
04 01	სკოლამდელი აღზრდა	1 819,6	1 631,6	1 631,6	1 631,6
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება	1 819,6	1 631,6	1 631,6	1 631,6
04 02	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	225,3	195,0	191,0	191,0
04 02 01	საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	210,1	181,0	181,0	181,0
04 02 02	პროფესიული სტუდენტთა ხელშეწყობა	15,2	14,0	10,0	10,0
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	1 052,2	0,0	0,0	0,0

ა) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი აღზრდა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 01			1 819,6
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	პროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. დმანისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის დაფინანსება. დღეის მდგომარეობით სკოლამდელი აღზრდის სამსახურში შედის 10 საბავშვო ბაღი, რომელიც ემსახურება შემდეგი დასახლებების მოსახლეობას: სოფელი იაღუფლო, სოფელი ზემო ოროზმანი, სოფელი დალარი, სოფელი ქვემო ოროზმანი, სოფელი ბაზაქლო, სოფელი კარაბულაზი, სოფელი განთიადი, სოფელი კიზილქილისა, სოფელი ტნუსი, სოფელი ჯავახი, სოფელი ას კაკლიანი, სოფელი ზოსლები, სოფელი ვარდისუბანი, სოფელი დიდი დმანისი, სოფელი მაშავერა, სოფელი გომარეთი, სოფელი ახა, სოფელი ველისპირი, სოფელი განახლება და სოფელ სარკინეთი. 2020-2021 წლებში განხორციელდა ქალაქ დმანისის N1, სოფელ ჯავახისა და სოფელ განთიადისა და სოფელ მაშავერას საბავშვო ბაღების სრული რეაბილიტაცია, მიმდინარეობს სოფელ ვარდისუბნის, სოფელ გომარეთის, სოფელ სარკინეთის და ქალაქ დმანისის N2- N3 ბაღების სრული რეაბილიტაცია. აღნიშნული დასრულდება 2022 წელს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სამომავლოდ დაგეგმილია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა სოფელ ზოსლებში და ასევე ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ დიდ სოფლებში	
	პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტის 2-დან 6-წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობა	

ა.ა) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელშეწყობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
04 01 01			1 819,6
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური	
	ქვეპროგრამის მიზანი	სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა	
	ქვეპროგრამის აღწერა	დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 9 საბავშვო ბაღი და დამატებით რეაბილიტაციის პროცესშია ერთი ბაღი - ქალაქ დმანისის N1, N2, N3 ბაღები, სოფელ განთიადის, სოფელ ჯავახის, სოფელ ვარდისუბნის, სოფელ სარკინეთის, სოფელ მაშავერასა და სოფელ გომარეთის საბავშვო ბაღები. მთლიანად სამსახურში დასაქმებულია 60 თანამშრომელი, მათ შორის	

	<p>16 აღმზრდელი და 12 თანამშრომელი, ხოლო ირიცხება 340 აღსაზრდელი, აქედან ბიჭი 172, გოგო 168. ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის“ დაქვემდებარებაში შემავალ საბავშვო ბაღებში დაწყებულია მზადება ავტორიზაციისათვის, რაც მოიცავს ბაღების რეაბილიტაციას, აღმზრდელ-პედაგოგების გადამზადებასა და ა.შ. ადგილობრივი სუბსიდიის ხმარდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაღების შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ავეჯის განახლებასა და ა.შ. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელი პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.</p>
--	--

ბ.ა) საგანმანათლებლო ცენტრი

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
04 02 01			210,1
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი	
	ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენისა და უცხო ენების შესწავლის უზრუნველყოფა, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სახელმწიფო ენის სწავლის ხელშეწყობა და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში.	
	ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში, კერძოდ ქალაქ დმანისში ფუნქციონირებს ააიპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც წარმოადგენს სკოლის გარეშე სასწავლო დაწესებულებას. დაფუძნდა 2008 წლის 18 დეკემბერს. საგანმანათლებლო ცენტრში წარმოებს სახელმწიფო ენისა და უცხო ენის (ინგლისური) უფასო სწავლება. 2021 წლის დასაწყისში ქართული ენის სასწავლო პროგრამაში ახალგაზრდებში, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობებში, ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი ინტერესის გაღვივებისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით მოხდა საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის ინტეგრირება. პროგრამა არის ერთწლიანი და ხდება თანმიმდევრული შესწავლა დონეების მიხედვით (ინდივიდუალური მიდგომა). ცენტრში დადგენილია კვირაში 5 დღიანი სასწავლო/სააღზრდელი პროცესი. ცენტრში დასაქმებულია 9 ადამიანი და მიმდინარე წელს პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე სწავლობდა 157 ზენეფიციარი უცხო ენის წარმომადგენელი. პროგრამის ფარგლებში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობის დაფინანსებით მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი, რომელიც მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებიდან ახდენს მათ ტრანსპორტირებას. პროგრამაში ჩართულნი არიან სოფლები: ზემო და ქვემო ოროზმანი, ბაზაქლო, დაღარი, კარაბულახი, შინდლარი, დაგარახლო, ამაშლო, მამიშლო და სოფლებთან ერთად ქალაქ დმანისის მკვიდრი ახალგაზრდები.</p>	

ბ.ბ) პროფესიული სტუდენტთა ხელშეწყობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	პროფესიული სტუდენტთა ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
04 02 02			15,2
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, მაღალმთიანი სტატუსის მქონე სტუდენტებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული პროფესიის დაუფლების მიზნით ჩაირიცხებიან დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედ შვეიცარიულ-აგრარულ სკოლა „აკაკასიაში“, დმანისის მუნიციპალიტეტი დაუფინანსებს სწავლას 50 % ოდენობით. ასევე, სტუდენტებს, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ჩაირიცხა და სწავლობს სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში/სასწავლებლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ერთჯერადი წახალისების სახით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისგან გადაეცემა თანხა 300 ლარის ოდენობით;</p>	
	ქვეპროგრამის მიზანი	<p>დმანისის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, ხელმისაწვდომობის ზრდა, პროფესიული სტუდენტების როგორც დმანისის მუნიციპალიტეტში, ასევე ქვეყნის მასშტაბით, სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ სფეროებში მომზადება.</p>	

გ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	საჯარო სკოლების დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
			1 052,2
04 03	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	პროგრამის მიზანი	საჯარო სკოლებში კეთილსამედიო სასწავლო გარემოს შექმნა.	
	პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა მოიცავს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ქვეპროგრამას ახორციელებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია. რეისების ჯეროვნად შესრულებას კი ზედამხედველობას უწევს მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ტრანსპორტირება ხორციელდება მუნიციპალიტეტში მოქმედი სკოლების მოთხოვნისამებრ და ქვეპროგრამით სარგებლობს სხვადასხვა სოფლის წარმომადგენელი მოსწავლეები. პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე ზოგიერთ სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ ცვლად, შესაბამისად მოსწავლეებს ტრანსპორტი ემსახურება დირექტორის მიერ განსაზღვრული გრაფიკით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამაში ჩართულია .... მოსწავლე. 2021 წელს პროგრამით სარგებლობენ შემდეგი სოფლის მოსწავლეები: კიხილქილისა, ზოსლები, გუგუთი, დიდი დმანისი	

4. კულტურა, ახალგაზრდობა სპორტი 05 00

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობის გამოვლენა.

პრიორიტეტის/პროგრამების/ქვეპროგრამის /ღონისძიებების დასახელება		2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3 408,1	3 631,4	3 631,4	3 631,4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	956,6	1 121,6	1 121,6	1 121,6
05 01 01	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	815,9	980,9	980,9	980,9
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	140,7	140,7	140,7	140,7
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2 015,2	2 072,8	2 072,8	2 072,8
05 02 01	კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა	1 125,1	1 097,7	1 097,7	1 097,7
05 02 02	სახელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა	303,6	315,6	315,6	315,6
05 02 03	საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა	284,5	279,5	279,5	279,5
05 02 04	კულტურული ღონისძიებები	302,0	380,0	380,0	380,0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200,0	200,0	200,0	200,0
05 04	ინიციატივების თანადაფინანსება	10,0	2,0	2,0	2,0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	171,3	180,0	180,0	180,0

05 06	საგამომცემლო საქმიანობა	55,0	55,0	55,0	55,0
-------	-------------------------	------	------	------	------

ა) სპორტის სფეროს განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	სპორტის სფეროს განვითარება	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 01			956,6
	პროგრამის განმახორციელებელი	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა.რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.2025 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება სპორტული სკოლა .პროგრამის ფარგლებში მოხდება სპორტული ობიექტების მოვლა-ვატრონობა და რეაბილიტაცია. მეორე ქვეპროგრამა ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით და მოიცავს მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტული ღონისძიებების დაგეგმვასა და ჩატარებას.	
	პროგრამის მიზანი	სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.სულიერად და ფიზიკურად განვითარებული პიროვნების ფორმირება, სპორტული ტრადიციების დაცვა,სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია,მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება,სპორტის ინდუსტრიის განვითარება.	

ა.ა) სპორტული სკოლის ხელშეწყობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 01 01			815,9
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა	
	ქვეპროგრამის აღწერა	ააიპ " ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა" - უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას 8 სპორტის სახეობის მიმართულებით. სკოლას აქვს ფილიალი სოფელ განთიადში, სოფელ გომარეთსა და სოფელ ვარდისუბანში. ორგანიზაციაში დასაქმებულია 22 თანამშრომელი, აქედან 3 ქალი და 19 კაცი. მოქმედებს შემდეგი სპორტული წრეები: ჭიდაობა- ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭიდაობა - ქართული, ჭიდაობა - სამშო, ჭადრაკი, ფეხბურთი, კრივი და კარატე 13 მწვრთნელი ემსახურება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (6 დან - 18 წლამდე) ახალგაზრდას. სკოლაში რიცხულია 192 ბენეფიციარი, სპორტული წრეების სპეციფიკიდან გამომდინარე მათ შორის ყველა ბიჭია. სკოლა გეგმავს და ანხორციელებს ღონისძიებებს ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით და ხელს უწყობს მის დანერგვასა და პოპულარიზაციას. იგეგმება ფრენბურთის წრის დამატება. ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს და ახორციელებს მათ წახალისებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ წრეებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დმანისის მუნიციპალიტეტში სპორტული სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობით მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა სპორტში და პერსპექტიული სპორტსმენების აღზრდა.მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება.	

ა.ბ) სპორტული ღონისძიებები

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 01 02			140,7
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ჩატარდება ტურნირები და სახელობითი თასის შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, აღინიშნება ევროპის სპორტის კვირეული. დაიგეგმება სხვადასხვა აქტივობები სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ამასთან, დაფინანსდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადები, სადაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა სკოლის მოსწავლე იქნება ჩართული. წარმატებულ სპორტსმენებთან ჩატარდება შეხვედრები და უზრუნველყოფილი იქნება მათ მიერ გამართულ მასტერკლასებზე ახალგაზრდების მაქსიმალური	

	ჩართულობა. განსაზღვრული ბიუჯეტი მოხმარდება ფორმების, თასების, სიგელებისა და სხვა სპორტული ინვენტარის შეძენას.
ქვეპროგრამის მიზანი	სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ბ) კულტურის სფეროს განვითარება

კოდი	პროგრამის დასახელება	კულტურის სფეროს განვითარება	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 02			2 015,2
	პროგრამის განმახორციელებელი	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	პროგრამის აღწერა	დმანისის მუნიციპალიტეტის მიზანია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობის უზრუნველყოფა, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების პოპულარიზაცია, კულტურული ტურიზმის განვითარება და შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელშეწყობა. ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 200-მდე კულტურული ძეგლის აღწერა, მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტი ორიენტირებულია ახალგაზრდების საზოგადოებრივ, კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობაზე. დმანისის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედეგად 4 ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება 3 მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე, ესენია: ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, რომელსაც აქვს ფილიალი სოფელ გომარეთში, ა(ა)იპ დმანისის სამუსიკო სკოლა - ფუნქციონირებს სოფელ განთიადისა და სოფელ ვარდისუბნის ფილიალები და დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური, რომელშიც შედის საბავშვო, ცენტრალური და ოთხი სოფლის (ამალო, გომარეთი, ვარდისუბანი, განთიადი) ბიბლიოთეკა. მეოთხე ქვეპროგრამას მოიცავს ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ორგანიზებას, კულტურული მრავალფეროვნების ფესტივალების, სხვადასხვა კონცერტების გამოფენების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების დაგეგმვა-განხორციელებასა და ახალგაზრდების ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრის ორგანიზებას	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დმანისის მუნიციპალიტეტის მიზანია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობის უზრუნველყოფა, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების პოპულარიზაცია, ტურიზმის განვითარება და შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელშეწყობა.	

ბ.ა) კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 02 01			1 125,1
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისა და მოზარდების ჩართულობის უზრუნველყოფა ხალხურ შემოქმედებაში, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული კოლექტივების, სახელოვნებო და სხვა წრეების საქმიანობაში. ახალგაზრდებში ესთეტიური გემოვნების ჩამოყალიბება და მათი აღზრდა – განათლება ქართული ტრადიციების შესაბამისად. სახვითი, (ფერწერა, გრაფიკა, ხატვა) გამოყენებითი და ხალხური ხელოვნების (თექის დამუშავება, ქსოვა, ქარგვა, ხეზე ვეითა) განვითარების ხელშეწყობა, მივიწყებული ტრადიციული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია: ხალხური მოქმელების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების, ოსტატების გამოვლენა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა. ასევე განსაკუთრებული და გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა და ხელშეწყობა. ხალხური მუსიკის, ქორეოგრაფიული და ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის ნიმუშების შეგროვების, შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის პირობების შექმნა, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშებისადმი ინტერესის გაღვივება, ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და თამაშების ფიქსაცია, პოპულარიზაცია. სამუზეუმო და ტურისტული საქმიანობის განვითარებას. სამუზეუმო და ტურისტული საქმიანობის განხორციელება. ამ ექსპოზიციებისათვის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა მასალის მოშაადება, საზოგადოებისათვის წარმოჩენა, თანამშრომლობა მუნიციპალიტეტის ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საქართველოს ეროვნულ და სხვა მუზეუმებთან, ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან, უცხოეთის სხვადასხვა სამუზეუმო, სამეცნიერო და კულტურის ცენტრებთან.	

	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოცხის ორგანიზებას;</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას, ასევე სასწავლო-სარეპეტიციო პროცესში სოფლად მცხოვრები ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.</p> <p>ა(ა)ივ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულებები, მათ შორის ქართული ხალხური რეწვის (თექა და ხეზე კვეთა), ხატვის, ფოლკლორული (სიმღერა და ცეკვა), ხალხური სკრავების, საგალობლების, საესტრადო, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების და თეატრალური სტუდიები. ასევე, ფოლკლორული ანსამბლები (ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი "შარია", ქალთა ფოლკლორული ანსამბლი "ირინოლა", ინტერნაციონალური ანსამბლი "დმანისური აისი"). სტუდიებში დღეისათვის დადის 324 ბავშვი (გოგო და ბიჭი): ხალხური სიმღერის სტუდია ---; ცენტრში დასაქმებულია 57 თანამშრომელი (ადმინისტრაცია, სტუდიების ხელმძღვანელები, ანსამბლების წევრები და სხვ.) აქედან 22 შტატისა და 36 შტატგარეშე თანამშრომელი.. ქალი .. კაცი .. . ცენტრში ფუნქციონირებს არქეოლოგიური საექსპოზიციო დარბაზი, სადაც განთავსებულია 600-ზე მეტი ექსპონატი. საექსპოზიციო დარბაზის მნახველთა რაოდენობა წლის განმავლობაში საშუალოდ 1200-1500-ია. ცენტრში ასევე ფუნქციონირებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი.</p>
ქვეპროგრამის მიზანი	<p>დმანისის მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისა და მოზარდების ჩართულობის უზრუნველყოფა ხალხურ შემოქმედებაში</p>

**ბ.ბ) სახელოვნო დაწესებულების ხელშეწყობა**

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სახელოვნო დაწესებულების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 02 02			303,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)ივ დმანისის სამუსიკო სკოლა	
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)ივ "დმანისის სამუსიკო სკოლა" და მასში შემავალი ორი ფილიალი - სოფელ ვარდისუბნისა და სოფელ განთიადის ფილიალები, რომლის მიზანია საფორტეპიანო კლასიკური მუსიკის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, რათა მოსწავლეები ეზიარონ ხელოვნების საფუძვლებს. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების ფესტივალებსა და კონკურსებში, მუსიკალურ-შემეცნებით წარმოდგენებში მონაწილეობა. სამუსიკო სკოლაში განათლებას იღებს 65 მოსწავლე - გოგო ... ბიჭი ... აქედან, ვარდისუბნის ფილიალში დადის ხოლო განთიადის ფილიალში კი - . სკოლაში დასაქმებულია (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 15 თანამშრომელი, აქედან 14 ქალი და 1 კაცი. 2025 წელს დაგეგმილია მოსწავლეთათვის კულტურულ-შემეცნებითი ტურები, როგორც არის სხვადასხვა კულტურულ სადამოცხე, თეატრის, ოპერისა და ბალეტის წარმოდგენებზე დასწრება და სხვა.</p>	
ქვეპროგრამის მიზანი		ხელოვნებისადმი ინტერესის გაზრდა და საფორტეპიანო, კლასიკური მუსიკის საფუძვლების შესწავლა	

**ბ.გ) საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა**

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 02 03			284,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)ივ დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)ივ საბიბლიოთეკო სამსახური, რომლის მიზანია ბიბლიოთეკისა და ზოგადად წიგნის კითხვის მიმართ ინტერესის გაზრდა, წიგნის კითხვის პოპულარიზაცია. საბიბლიოთეკო სამსახურში შედის: საბავშვო ბიბლიოთეკა, სოფელ განთიადის ფილიალი, სოფელ ვარდისუბნის ფილიალი, სოფელ გომარეთის ფილიალი, სოფელ ანამლოს ფილიალი. სამსახურში დასაქმებულია 13 ადამიანი, მათგან ყველა ქალია. ბიბლიოთეკები ყველა ასაკის მკითხველს ემსახურებიან. საბიბლიოთეკო სამსახურის წიგნადი ფონდი შეადგენს .... წიგნს. წიგნიერების დონის გაზრდის, მოსახლეობაში და განსაკუთრებით ბავშვებში კითხვის პოპულარიზაციის, საუკეთესო მკითხველების გამოვლენის მიზნით, ბიბლიოთეკის მიერ დაგეგმილია რიგი ღონისძიებები: ჩატარდება ინტერაქტიული, სათავგადასავლო თამაშები, რომლის ფარგლებშიც გაიმართება წიგნის აუქციონი, ლიტერატურული სასამართლოები, პოეტური ბატლი, გაიმართება ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები, სხვადასხვა აქტივობებით აღინიშნება კულტურის სფეროში მოღვაწეთა საიუბილეო თარიღები. დაგეგმილია წიგნადი ფონდის განახლება და სკოლის მოსწავლეთა ჩართულობით კულტურულ-შემეცნებითი შეხვედრები მწერლებთან, ხელოვანებთან და სხვა.</p>	
ქვეპროგრამის მიზანი		ბიბლიოთეკისა და ზოგადად წიგნის კითხვის მიმართ ინტერესის გაზრდა	

ბ.დ) კულტურული ღონისძიებები

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურული ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 02 04			302,0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ისეთი კულტურული ღონისძიებები, სადაც მეტად იქნება წარმოდგენილი სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულება (სახვითი, თეატრალური, სამუსიკო და ტრადიციული). ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფისა და მოქალაქეების ჩართულობა, ამ მიზნით მოხდება მათთან შეხვედრების ორგანიზება. იგეგმება კულტურული ღონისძიებები როგორც არის: საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, სახალხო დღესასწაული "დმანისობა", გომარეთობა, ეთნო ფესტივალი, საახალწლო კონცერტი და სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი შეხვედრები ახალგაზრდობისთვის. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფესტივალი - შემოქმედი ახალგაზრდობა და სხვა.	
	ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, კულტურის სფეროს დარგების ხელშეწყობა და მათი პოპულარიზაციისათვის შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება, სანახაობრივი მაღალი ხარისხის კულტურული ღონისძიებების ჩატარება, მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.	

გ) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა

კოდი	პროგრამის დასახელება	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 03			200,0
	პროგრამის განმახორციელებელი	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	
	პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი.	რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდა და მოსახლეობის სულიერობის ამაღლება.	

დ) ინიციატივების თანადაფინანსება

კოდი	პროგრამის დასახელება	ინიციატივების თანადაფინანსება	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
05 04			10,0
	პროგრამის განმახორციელებელი	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	პროგრამის აღწერა	იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდები წარმოადგენენ საზოგადოების მნიშვნელოვან სეგმენტს, რომელთაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვთ, დმანისის მუნიციპალიტეტმა რუსთავის ჰაბთან თანამშრომლობით შემუშავდა აღნიშნული პროგრამა, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ახალგაზრდული ინიციატივების ან მათი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას. პროგრამას საფუძვლად უდევს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის N7054 დადგენილება „2020-2030 ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის დამტკიცების შესახებ, რომლის მე-3 პუნქტის მიხედვით ეთხოვათ მუნიციპალიტეტებს ხელი შეუწყონ კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას. პროგრამის არსი მდგომარეობს შემდეგში: დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის მერიის გარდა, რომელიმე დონორი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში (რომელიც ეხება ახალგაზრდობის გამოღიერებას) გამარჯვების შემთხვევაში, თანადაფინანსების მსურველი ფიზიკური პირი ან არასამთავრობო ორგანიზაცია მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგენს წერილობით საპროექტო განაცხადს, რომელსაც განიხილავს შესაბამისი კომისია, მუნიციპალიტეტის მერი და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი დააფინანსებს დონორის მიერ დაფინანსებული პროექტის არამუმეტეს 50 %.	
	პროგრამის მიზანი	დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/ფაქტობრივად მცხოვრები ახალგაზრდა პირების ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების თანადაფინანსება	

ე) ახალგაზრდობის მხარდაჭერა

კოდი	პროგრამის დასახელება	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
			171,3
	პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	პროგრამის აღწერა	ახალგაზრდები წარმოადგენენ საზოგადოების მნიშვნელოვან სეგმენტს, რომელთაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვთ, დმანისის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა პროგრამა, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს წარჩინებული ახალგაზრდებისა და წარმატებული სპორტსმენების ყოველთვიურ წახალისება/დახმარებას.	
	პროგრამის მიზანი	დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების მოტივაცია/ხელშეწყობა; წარმატებული/ნიჭიერი ახალგაზრდების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, რეალიზება და ღირსეული ადგილის დამკვიდრება ქვეყნის მშენებლობისა და განვითარების საქმეში თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად. ასევე დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისა და წარმატებული სპორტსმენების მოტივაცია ყოველთვიური ფულადი წახალისების გზით	

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას.

ა) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 01)

პროგრამის მიზანი: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა.

პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის /ღონისძიებების დასახელება	2025 წელი			2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
	სულ	ადგილობრივი	სახელმწიფო			
06 00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3 423,9	3 090,5	333,4	1 986,7	1 986,7	1 986,7
06 01 ჯანმრთელობის დაცვა	191,7	0,0	191,7	191,7	191,7	191,7
06 01 01 საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ა(ა)იპ "დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"	191,7	0,0	191,7	191,7	191,7	191,7
06 02 სოციალური დაცვა	3 232,2	3 090,6	141,7	1 795,0	1 795,0	1 795,0
06 02 01 მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის სოციალური დაცვა (ავადმყოფთა სოციალური დაცვა)	770,0	770,0	0,0	650,0	650,0	650,0
06 02 01 (01) ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	448,0	448,0	0,0	350,0	350,0	350,0
06 02 01 (02) დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარება	61,0	61,0	0,0	39,0	39,0	39,0
06 02 01 (03) ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარება	15,0	15,0	0,0	18,0	18,0	18,0

06 02 01 (04)	მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარება	97,0	97,0	0,0	81,0	81,0	81,0
06 02 01 (05)	მიცვალბულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	15,0	15,0	0,0	15,0	15,0	15,0
06 02 01 (06)	18 წელს გადაცილებულ შშ ქალთა და 18 წლამდე შშ მქონე პირთა სოციალური დაცვა	30,0	30,0	0,0	30,0	30,0	30,0
06 02 01 (07)	მარჩენალდაკარგული, დედამამით ობოლი ბავშვების სოციალური დახმარება	26,0	26,0	0,0	26,0	26,0	26,0
06 02 01 (08)	ბავშვთა/რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფის 2024 წლის ქვეპროგრამა,	18,0	18,0	0,0	21,0	21,0	21,0
06 02 01 (09)	„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების (ქირით უზრუნველყოფის) ქვეპროგრამა“	18,0	18,0	0,0	21,0	21,0	21,0
06 02 01 (10)	ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, დღის ცენტრის და ადრეული განვითარების ცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების ყოველთვიურ სოციალური დახმარების ქვეპროგრამა	12,0	12,0	0,0	12,0	12,0	12,0
06 02 01 (11)	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა,	30,0	30,0	0,0	40,0	40,0	40,0
06 02 02	ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (სათბობის მეშით ან ბიოსაწვავი, ბრეკეტი) უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა	64,0	64,0	0,0	64,0	64,0	64,0
06 02 03	სოციალურდ დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამა ოპერაციების ხარჯები	1 310,0	1 310,0	0,0	523,0	523,0	523,0
06 02 03 (01)	აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის მხარდაჭერა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა	963,0	963,0	0,0	376,0	376,0	376,0
06 02 03 (02)	აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების პროგრამა	20,0	20,0	0,0	20,0	20,0	20,0
06 02 03 (03)	მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა»	300,0	300,0	0,0	100,0	100,0	100,0
06 02 03 (04)	0 დან 1 წლამდე ასაკის ბავშვების ხელოვნური კვების პროდუქტებით დახმარების ქვეპროგრამა	27,0	27,0	0,0	27,0	27,0	27,0
06 02 04	სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანები)	1,5	0,0	1,5	1,0	1,0	1,0
06 02 05	მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა ა(ა)იპ "დმანისის სათნოების სახლი"	292,8	292,8	0,0	300,0	300,0	300,0
06 02 06	ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა	546,8	546,8	0,0	150,0	150,0	150,0
06 02 07	მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარებები (სარეზერვო)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
06 02 08	ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების პროგრამა (თანადაფინანსება	40,0	40,0	0,0	40,0	40,0	40,0
06 02 09	ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და ქალისა და მამაკაცის თანსწორობის საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით	25,0	25,0	0,0	25,0	25,0	25,0
06 02 10	ბავშვთა დღის და ადრეული განვითარების ცენტრი	42,0	42,0	0,0	42,0	42,0	42,0
06 02 11	შშმ პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	140,2	0	140,2	0	0	0

კოდი	პროგრამის დასახელება	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 00			3 423,9
პროგრამის განმახორციელებელი		დმანისის მუნიციპალიტეტის მერია	
პროგრამის აღწერა		<p>მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.</p> <p>ასევე ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალმხილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას</p>	
პროგრამის მიზანი		დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	

ა.ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ა(ა)იპ "დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ა(ა)იპ "დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 01 01			191,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ა(ა)იპ „დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“	
ქვეპროგრამის აღწერა		<p>სამოქმედო არეალში ეპიდზედამხედველობის, მათ შორის ტუბერკულოზით დაავადებული პირების კონტაქტების კვლევა, შეწყვეტილი და ურჩი ტუბ პაციენტების მოძიება მათი მკურნალობაში ხელახალი ჩართვის მიზნით, პატიმრობიდან გათავისუფლებული ტუბ პაციენტების ზედამხედველობა მკურნალობის დასრულების მიზნით, სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა განხორციელება, სხვადასხვა პარაზიტულ დაავადებებზე მოსახლეობისათვის რეკომენდაციების მიწოდება; ცოფის გავრცელების სუბტუაციური მართვის პროცესებზე მეთვალყურეობა, კონტროლსდაქვემდებარებული სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებაზე, ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობაზე რეკომენდაციების მიწოდება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მათ შორის ანტირაბიული და სპეციფიური შრატებით, სამედიცინო დაწესებულებების უზრუნველყოფა ასაცრელი მასალითა და ტესტ-სისტემებით - „ცივი ჯაჭვის“ პრინციპის დაცვით და მონიტორინგი, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება თამბაქოსა და მეორადი კვამლის მავნეობაზე, სხვადასხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და სავაჭრო დაწესებულებებში თამბაქოს შესახებ კანონის განმტკიცების ხელშეწყობა, სხვადასხვა ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებებზე, აგრეთვე ჯანმრთელობისათვის მავნე ჩვევებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ლექცია საუბრებით, საინფორმაციო ბეჭდური მასალის მომზადება-გავრცელება, მასმედიასთან ურთიერთობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა,</p> <p>ქვეპროგრამა მოიცავს;</p>	
ქვეპროგრამის მიზანი		მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება - საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.	

კოდი	პროგრამის დასახელება	სოციალური პროგრამები	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 02			3 232,2
	პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
	პროგრამის აღწერა	<p>ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის დახმარებას, პროგრამა მოიცავს 7 ქვეპროგრამას:</p> <p>ა) მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოფიაციური ფენის მოსახლეობის სოციალური დაცვა, რომელშიც შედის ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა, დიალიზის საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერა, ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით მხარდაჭერა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლოთა) ფინანსური მხარდაჭერა და მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ქვეპროგრამები;</p> <p>ბ) ზამთრის სეზონთან დაკავშირებით ბიოსაწვავით უზრუნველყოფის პროგრამა</p> <p>გ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის დახმარება, რომელშიც შედის აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარება,</p> <p>დ) მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა ა(ა)იპ "დმანისის სათნოების სახლი"</p> <p>ე) ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა და სხვა,</p>	
	პროგრამის მიზანი	მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება	

**ბ.ა) მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის სოციალური დაცვა**

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის სოციალური დაცვა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 02 01			770,0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა, დიალიზის საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერა, ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით მხარდაჭერა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლოთა) ფინანსური მხარდაჭერა და მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ქვეპროგრამები;	
	ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მძიმე დიაგნოზის მქონე პირების ფინანსური მხარდაჭერა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 02 01 01			428,0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ავთვისებიანი სიმსივნით და C ჰეპატიტით დაავადებული პირები, ცალკეულ შემთხვევაში დმანისის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია მიანიჭოს პირს პროგრამით სარგებლობის უფლება, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით, მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს 200 (ორასი) ლარს,	
	ქვეპროგრამის მიზანი	ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა მკურნალობისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსებისთვის	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	დიალიზის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ფინანსური მხარდაჭერა	2025 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
06 02 01 02			61,0

<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პაციენტები, სხვადასხვა სამედიცინო სერვისის მისაღებად საჭირო ხარჯებისა და მგზავრობის ხარჯების უზრუნველსაყოფად დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტი დიალიზზე მყოფ ადამიანებისთვის ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით ფინანსურ დახმარებას გასცემს, 2021 წელს ფინანსური დახმარებით ისარგებლა 15 ადამიანმა (ამ ეტაპზე სარგებლობს 14 ბენეფიციარი, 4 გარდაიცვალა კორონავირუსით), მუნიციპალიტეტი გარკვეული კატეგორიის მოსახლეობისთვის უზრუნველყოფს ტრანსპორტით უფასო მომსახურებას, მათ შორის სარგებლობენ დიალიზზე მყოფი პირები, თუმცა რეისების განრიგს არ ემთხვევა მათი მკურნალობის დღეები, ამიტომ სჭირდებათ კერძო ტრანსპორტის მომსახურება.
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	დიალიზზე მყოფი ადამიანებისთვის სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდა

<b>კოდი</b>	<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა</b>	<b>2025 წლის დაფინანსება ათას ლარში</b>
06 02 01 03			15,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	მოსარგებლენი არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებული პირები, შესაბამისი დახმარებას იღებს ფინანსური დახმარების სახით, ამ ეტაპზე გვეყავს 5 ბენეფიციარი და წლის ბოლოს დაემატება კიდევ ერთი პირი		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა		

<b>კოდი</b>	<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარება</b>	<b>2025 წლის დაფინანსება ათას ლარში</b>
06 02 01 04			97,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირები, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირი ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ფინანსური დახმარების სახით ყოველთვიურად 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;		
<b>ქვეპროგრამის მიზანი</b>	მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირთა მატერიალური მხარდაჭერა		

<b>კოდი</b>	<b>ქვეპროგრამის დასახელება</b>	<b>მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების მუნიციპალური პროგრამა</b>	<b>2025 წლის დაფინანსება ათას ლარში</b>
06 02 01 05			15,0
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</b>	მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირები, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირი ამ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას იღებს ფინანსური დახმარების სახით ყოველთვიურად 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;		

პროგრამის მიზანი	გარდაცვლილი ოჯახებისათვის ფინანსური მხარდაჭერა
------------------	--

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	18 წელს გადაცილებულ შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 2023 წლის სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01 06			30,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, 18 წელს ზემოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ფინანსური მხარდაჭერა და ცნობიერების ამაღლება (რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ჯანსაღი და სრულფასოვანი განვითარება, მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართვა და ეკონომიკური გაძლიერება): პროგრამის მოსარგებლე პირების ცნობიერების ამაღლება, მოქმედ ადგილობრივ და სახელმწიფო პროგრამებში ქალთა ჩართულობის გაზრდა და სოფლად მცხოვრებ შშმ ქალებთან და ბავშვთან საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა დმანისის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს და დმანისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს ჩართულობით მათი საზოგადოებაში გააქტიურებისა და ეკონომიკური გაძლიერებისათვის)	
ქვეპროგრამის მიზანი		პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, 18 წელს ზემოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ფინანსური მხარდაჭერა და ცნობიერების ამაღლება	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მარჩენალდაკარგული, დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01 07			26,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარჩენალ დაკარგული ან დედამამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარჩენალ დაკარგული ან დედამამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვები.	
ქვეპროგრამის მიზანი		პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარჩენალ დაკარგული ან დედამამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ფინანსური მხარდაჭერა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	„ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფის 2023 წლის ქვეპროგრამა“	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01 08			18,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		პროგრამის მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.	
ქვეპროგრამის მიზანი		პროგრამის მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების (ქირით უზრუნველყოფის) ქვეპროგრამა“	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01 09			18,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	

ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია ოჯახში საფრთხის მაღალი რისკის თავიდან აცილების მიზნით პროგრამით მოსარგებლე ოჯახების ქირით უზრუნველყოფა (მათ შორის ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია), ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება და სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში ჩართვა. პროგრამის მოსარგებლები არიან: დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლი წევრ(ებ)ი.
ქვეპროგრამის მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ოჯახში საფრთხის მაღალი რისკის თავიდან აცილების მიზნით პროგრამით მოსარგებლე ოჯახების ქირით უზრუნველყოფა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, დღის ცენტრის და ადრეული განვითარების ცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების ყოველთვიური სოციალური დახმარების ქვეპროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01 10			12,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.	
ქვეპროგრამის მიზანი		პროგრამის მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01 11			30,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		პროგრამის მიზანია დახმარება გაეწიოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სამიზნე ჯგუფს,საყოფაცხოვრებო ტექნიკის,პიგიენტური საშუალებების,საკანცელარიო (მათ შორის სახელმძღვანელოები) და სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთების შეძენაში.	
ქვეპროგრამის მიზანი		პროგრამის მიზანია დახმარება გაეწიოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სამიზნე ჯგუფს,საყოფაცხოვრებო ტექნიკის, პიგიენტური საშუალებების,საკანცელარიო (მათ შორის სახელმძღვანელოები) და სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთების შეძენაში.	

**ბ.ბ) ზამთრის სეზონისთვის სოციალურად დაუცველთა საწვავით (ბიოსაწვავი „ბრიკეტით“) უზრუნველყოფა**

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ზამთრის სეზონისთვის სოციალურად დაუცველთა საწვავით (ბიოსაწვავი „ბრიკეტით“) უზრუნველყოფა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 02			64,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში წელიწადში ერთხელ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მართლაც პენსიონერებს, იძულებით გადაადგილებულ პირთა მარჩენალ დევარგულ ოჯახებს, იძულებით გადაადგილებულ პირთა შშმ პირების ოჯახებს საშუალება ეძლევათ ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, გათბობის მიზნით, მუნიციპალიტეტიდან დახმარების სახით მიიღონ შემა/ბრიკეტი ან სხვა მასალა, ცალკეულ შემთხვევაში დახმარებას იღებენ მერის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირები შესაბამისი სამსახურის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის შესაბამისად,	
ქვეპროგრამის მიზანი		ზამთრის სეზონზე მართლაც პენსიონერების და სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ოჯახების გათბობისთვის საჭირო საწვავით მომარაგება და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების უზრუნველყოფა	

**ბ.გ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო (სტაციონარული, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპია და რეაბილიტაცია) დახმარება**

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო (სტაციონარული,	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
------	-------------------------	---	----------------------------------

06 02 03		ამბულატორიული, ფიზიკური თერაპია და რეაბილიტაცია) დახმარება	1 310,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ზავების უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დაფინანსება/თანადაფინანსება სასწრაფო, გადაუდებელი და გეგმიური სტაციონარული, ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის კურსების მისაღებად, სტაციონარული, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის მკურნალობის დაფინანსება ხორციელდება სრულად არა უმეტეს 1000 (ათასი) ლარისა, გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია 1000 (ათასი) ლარზე მეტი ოდენობით დაფინანსების განხორციელება, დმანისის მუნიციპალიტეტის მერს მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ზავების უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური გამონაკლის შემთხვევის შესახებ ინფორმაციას წარუდგენს დმანისის მუნიციპალიტეტის მერს მიერ „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის დახმარების მუნიციპალური პროგრამის განხორციელების მიზნით“ შექმნილი კომისიის, ცალკეულ შემთხვევაში დმანისის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია მინიჭოს პირს პროგრამით სარგებლობის უფლება, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით კომისიის დასკვნის საფუძველზე.	
ქვეპროგრამის მიზანი		სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული დახმარების, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის მუნიციპალური ქვეპროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 03 01			963,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ზავების უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
